

წა ლოვანე ოქროპირი,
 ღონსტანტინეპოლის
 მთავარეპისკოპოსი

სწავლა ზიარებისათვის წმილათა საიღუმლოთაჲსა¹

წმისთჳს გევედრები, საყუარელნო, ნუცა ჩუენ უდებ ვიქმნებით და ვიტყვოთ, თუ: იმერთმან გუაცხოვნოს; ნუცა მოსწრაფებასა შინა რაჲ ვიყვნეთ, ვჰგონებოთ, თუ თჳსითა შრომითა ძალ-გვც წარმართებად კეთილისა. წრამედ ჩუენცა ვიღუნიდეთ ძლიერად და იმერთსა ვევედრებოდით, რაჲთა მოგუცეს შისმიერი შენევნაჲ და შეგვწყაღნეს.

ქამეთუ არცა ესე ჰნებავს იმერთსა, რაჲთა უდებ ვიყვნეთ ჩუენ და მცონარ. წმისთჳს არა იქმს ყოველსავე იგი, არამედ **ჩუენგანცა ეძიებს გულსმოდგინებასა და მოღუანებასა**; არცა ესე სათნო-უჩნს, რაჲთა ლალ და ამპარტავან ვიყვ-

¹ წმ. იოვანე ოქროპირი, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, თარგმანი წმ. ეფთვიმე მთანმიდელისა; წ. III, რედ. მზ. შანიძე, თბ., 1998. გვ. 381-385. – ეს არის გამართული ვარიანტი 1899 წლის ღონდაკში შეტანილი საკითხავისა (Knd. 350-364). ჭაზგასმული ადგილები ყველგან ჩვენია(ბ.გ.რ.).

ნეთ. წმისთვის არა მოგუცა ჩუენ თავით თვისით წარმართებად ყოვლისავე. ორკერძოვე სავნებელსა განაშორებს ჩუენგან, და სარგებელსა მოგუცემს. წმისთვის სეტრეს მიუშუა უარის-ყოფასა შთავრდომად, რაჟთა სიმდაბლე მოიგოს. ყუალად ჳელი წყალობისაჲ აღუპყრა, რაჟთა უმეტესად შეიყუაროს ოფალი თვისი, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „რომელსა ფრიად მიეტეოს, ფრიადცა შეიყუაროს“ (ზკ.7,47).

ჩიქმნნეთ უკუე ყოველსავე ზედა მორჩილ და მორწმუნე იმრთისა, და ნურარას ზედა ვაცილობთ, დაღაცათუ იყოს საქმე იგი წინააღმდგომ გონებათაცა და საცნობელთა ჩუენტა; არამედ იყავნ სიტყუაჲ შისი უმტკიცეს გონებათა და თუალთა ჩუენტა.

ღგრეთვე წმიდათა საიდუმლოთა ზედა ვიქმოდით. ჩუ წინამდებარესა მას შესაწირავსა ხოლო განვიცდით, არამედ სიტყუათა შისთა ვიჳსენებდეთ, რამეთუ სიტყუაჲ მისი წარუვალ არს და განუქარვებელ.

წინაჲთგან უკუე ღავადმან თქუა: „ესე არს ყორცი და სისხლი ჩემი“, გურწმენდინ სიტყუ-

აჲ შისი და **თუალთა სულიერითა განვიცდიდეთ საიდუმლოთა მათ.** ჟამეთუ არარაჲ ხილული მოგუცა ჩუენ ჟრისტემან, არამედ ხილულად იქმნებიან ბრძანებანი შისნი, და უხილავად აღესრულებიან. ჳგრეთვე ნათლისღებასა ხილულითა წყლითა იქმნების განბანაჲ იგი, ხოლო უხილავად მოგუეცემის შადლი იგი სულისა ჩმიდისაჲ და მეორედ შობაჲ ჩუენი.

ჟამეთუ უკუეთუმცა უჯორცონი ვიყვენით, განცხადებულადცა მოგუცნა ოჯორცონი იგი ჩიქნი, ხოლო ვინაჲთგან ჳორცთადა შეერთებულ არიან სულნი ჩუენნი, ამისთვის ხილულითა სახითა უხილავთა მათ შადლთა მოგუანიქებს.

ჟავდენნი იტყვიან: მსუროდო, რაჟთამცა ღირს ვიქმენ ხილვად ხატსა პირისა შისისასა, ანუ სამოსელსა შისსა, ანუ ჳამლთა.

წნ ესერა, კაცო, შას თავადსა ჳხედავ, შას შეეხები, შას მიიღებ საჭმლად და შინაგან შენსა დაემკვდრების, რამეთუ ესე ჳერ-იჩინა ჩუენტვს კაცთმოყუარემან.

წნ უკუე ნუმცა ვინ ორგულებით მოუჳდების, ნუმცა ვინ დაჳსნილებით, არამედ მჯურვალეებით

და სარწმუნოებით და ჯეროვნითა კრძალულე-
ბითა.

აკუეთუ ჰურიანი სასექსა მას ძუელსა ჭამ-
დეს ზემდგომარენი, და კუერთხები ჯელთა მათათა და ჯამლნი ფერჯთა, და ჭამდეს სწრაფით, არა ჩუენ უმეტესი კრძალულეება თანა-გუაცა, მორწმუნენო?

ღვინი სალესტინედ მივიდოდეს, ამისთვის მგ-
ზავრთა წესი ეპყრა. ღოლო ჩუენ ზეცად გვღირს
აღსლვაჲ. წმისთვის ყოვლით კერძო კრძალვაჲ
თანა-გუაც, რამეთუ **არამცირე სასჯელი განწესებულ არს მათთვის, რომელნი უღირსად ეზიარებოდინ.**

ღხედავთა, ვითარ მრისხანე ვართ ჴუდაჲსთვის, რომელმან მისცა ჴგი, და ჴურიათათვის, რომელთა ჴუარს-აცუეს? ვეკრძალნეთ, ნუუკუე ჩუენცა თანამდებ ვიქმნეთ ჴორცსა და სისხლსა ჴრისტესსა. შათ ჴუარს-აცუეს წმიდაჲ იგი ჴუამი შისი, და აწ შენ, კაცო, ჴორცსა შისსა მიიღებ სულითა მწინკულევანითა, ძნელ არს ესე შენდა.

ძავადმან არა კმა-იყო ჩუენთვის განკაცებაჲ, ყურიმლის-ცემაჲ და სიკუდილი, არამედ აწცა

შეგუაერთებს თავსა ძესსა არა სარწმუნოებითა ხოლო, არამედ საქმითცა. საჭმლად ჩუენდა ჴყოფს ჴორცსა თვისსა პატიოსანსა და სასუმლად – სისხლსა მას წმიდასა.

ღითარი-მე ჯმდა სული იგი შემწყნარებელი შისი? ჯერ-იყო უბრწყინვალეს მზისა ყოფად. ჴა ჴელი იგი, რომელი განანაწილებს შას, და პირი იგი, რომელი აღივსების ცეცხლითა მით სულიერითა, და ენაჲ იგი, რომელი იხილავს გემოსა სისხლისა მის შესაძრწუნებელისასა, ჯერ-იყო ანგელოზთა მობაძავ-ყოფად.

ღულისჯმა-ყავ, კაცო, რომელიღა პატივი მოგეცა, რომლისა ტრაპეზისა პურისმტე იქმენ, რომლისა მიხედვად ანგელოზნი ძრწიან და თუალთა შედგმად ვერ იკადრებენ ელვისა მისგან მიერ გამოკრთოლვანისა. წმის ესევეითარისა საშინელისა ტრაპეზისაგან ჩუენ ვეზიარებით და გამოვიზრდებით და ვიქმნებით ასოებ ჴრისტესა და გუამ თავისა მის საღმრთოჲსა.

„ღინ-მე იტყოდის ძლიერებათა აფლისათა, სასმენელ-ყვნეს ყოველნი ქებულეებანი შისნი?“ (ღს.105,2). ჴომელმან მწყემსმან ჴორციითა თვისი-

თა გამოზარდნის ცხოვარნი? რომელმან მეფემან ერსა თვსსა მისცის სისხლი თვისი? და ჴრისტე იქმს ამას ჩუენ ზედა, და მოგუცემს ჴორცსა და სისხლსა ძვსსა, და ყოვლით კერძო შეგუაერთებს თავსა ძვსსა.

ღარდამოვდა ზეცით და იშვა ჴალწულისაგან, მიიღო ბუნებაჲ ჩუენი და იქცეოდა ჩუენ შორის, თავს-იდვა ჴუარ-ცუმაჲ და სიკუდილი და სხუანი იგი შეურაცხებანი, და ივსნა ბუნებაჲ ჩუენი წარწყმედისაგან. Ⴀრა კმა-ეყო ესე სახიერებაჲ, არამედ ან კაცად-კაცადსაცა მისცემს საჭმლად თავსა ძვსსა ზიარებითა მით საიდუმლოთაჲთა.

Ⴀნ უკუე ნუ უღებ ვიქმნებით, რომელნი-ესე ღირს ვიქმნენით ესევითარსა სიყუარულსა და პატივისა შის მიერ. შოუჭდეთ სურვილით და სარწმუნოებით წმიდასა მას ჴარძიმსა, და მოვილოთ საზრდელი იგი სულიერი. შითარცა ჩჩვლთა წადიერებით მიიღიან სძე, მოვილოთ შადლი იგი სულისა ჩმიდისაჲ. Ⴀა ესე იყავნ ჩუენდა მწუხარება, ოდეს დავაკლდეთ ამას კეთილსა. ჴარნა ვეკრძალნეთ, რაჲთა არა უღირსებით მოუჭდეთ საიდუმლოთა მათ დიდებულთა და ყოვლადწმიდათა.

Ⴀრა კაცობრივი საქმე არს ესე, არამედ ჴომელმან მაშინ ქმნა სერობაჲ იგი საიდუმლოჲსაჲ, Ⴀგივე არს ჴომელი ანცა სრულ-ჰყოფს ამას შესანირაჲსა. ჩუენ წესი გვპყრიეს მსახურთაჲ, ხოლო წმიდამყოფელი და შემცვალებელი ჴორცად და სისხლად ძვსად იგი ძავადი არს. Ⴀნ უკუე ნუმცა ვინ არს Ⴀუდა, ნუმცა ვინ არს უღირს და დამონებულ ვნებათა, ვითარცა იგი დამონებულ იყო ვეცხლისმოყუარებისადა.

ღომელიცა მოწაფე არს ერთგულ და სარწმუნოჲ, იგი დადევინ. Ⴀკუეთუ არა ესრეთ ვინ იყოს, არა შეინყნარებს მას ღრაპეზი იგი. ჴამეთუ იტყვის Ⴀფალი: „მოწაფეთა ჩემთა თანა ვყო პასექი“. Ⴀნცა იგივე ღრაპეზი არს და არარაჲთა ნაკლულევან.

Ⴀრა თუ იგი ჴრისტემან დააგო და ამას კაცი ვინმე დააგებს. Ⴀმისიცა აღმასრულებელი ჴრისტე არს. Ⴀსე Ⴀკლესიაჲ მსგავს არს ქორსა მას, სადა მაშინ იყვნეს.

ღგინი განვიდეს მიერ მთად ზეთისხილთაჲ. ჴანვიდეთ ჩუენცა ჴელთა მიმართ გლახაკთაჲსა; რამეთუ სიმრავლე ესე გლახაკთაჲ, ზეთისხილნი

არიან დასხმულნი სახლსა იმრთისასა, გამოცემელნი ზეთსა მას სულიერსა, რომელი აქუნდა ქალწულთა მათ ბრძენთა. ღოლო რომელთა არა აქუნდა ამისაგან, წარწყმდეს. ონ ჩუენ ამით ზეთითა უნაკლულოდ ვიყვნეთ, რაჟთა მივეგებნეთ სიძესა მას ბრწყინვალითა ლამპრითა. ნუმცა ვინ უწყალოდ მოუჭდების წმიდათა საიდუმლოთა, ნუმცა ვინ უსახური, ნუმცა ვინ ანგაჰრი, ნუმცა ვინ არანმიდაჲ.

ომას მათ ვეტყვ, რომელნი ეზიარებიან. ღოლო ჯერ-არს თქუენდა მიმართცა თქუმად, რომელნი-ეგე პატივითა მღდელობისაჟთა დადგინებულ ხართ, განმყოფელად ნიჭისა მის დიდისა, რაჟთა კრძალულებით განუყოფდეთ.

ქამეთუ არა მცირედი სასჯელი მიგეჯადოს თქუენ, უკუეთუ იცოდით ვისიმე არაღირსებაჲ და აზიაროთ საიდუმლოჲსა მისგან. ჴგი დაისაჯოს, და სისხლი მისი ჴელთაგან თქუენთა იძიოს. ოალცათუ ერისთავი იყოს, ანუ მთავარი, ანუ თვთ მეფეცა, და უღირსებით მოუჭდებოდის, დააყენე, უმეტესი მისსა გაქუს შენ ჴელმწიფებაჲ.

ღოლო შენდა უკუეთუმცა რწმუნებულ იყო

წყაროჲ წმიდაჲ სასუმლად სამწყსოჲსა, და იხილემცა ერთი ცხოვარი მწვრითა შებლალული, არამცა მიუშუ შესლვად წყაროსა მას. ღოლო ან რწმუნებულ არს შენდა არა წყაროჲ წყლისაჲ, არამედ ჴორცი და სისხლი სამეუფოჲ, და **ხედავ ვიეთმე ცოდვითა შებლალულთა და არა აყენებ; დიდ არს ბრალი ესე, დიდ არს სასჯელი ესე.**

ომისთვის მოუცემიეს იმერთსა თქუენდა პატივი ესე, რაჟთა ამას განარჩევდეთ. ᴲსე არს საქმე თქუენი, ესე არს გვრგვნი თქუენი. ორა თუ ესე არს, რაჟთა სპეტაკითა შემოსილნი შემოხვდეთ ცუდად, არამედ რაჟთა ამას საქმესა ეკრძალეზოდით.

სთქუთ სადმე, ვითარმედ: ვინაჲ უწყით ჩუენ, ვინ არს უღირს? გარნა მე არა უმეცართათუს ვიტყვ, არამედ რომელთა მეცნიერ იყვნეთ და იცოდით, ვითარმედ არა ღირს არიან.

ოიტყვ ამასცა, ვითარმედ: არა ესრეთ ძნელ არს ეშმაკეულთა ყოფაჲ ᴲკლესიასა შინა ჴამისწირვასა, ვითარ ესევითართაჲ მათ, ვითარცა ᄰავლე იტყვს: „რომელმან ᄰე იმრთისაჲ შეურაცხყოს და სისხლი იგი ოლთქუმისაჲ არაღირსად

შეჰრაცხოს“ (1ბრ.10,29), და შემდგომი ამისი.

ქამეთუ უძვრეს ეშმაკეულისა არს, რომელი ცოდვიდეს და ეზიარებოდის. ქამეთუ იგინი ეშმაკეულობისათჳს სატანჯველად არა მიეცემიან, ხოლო ესენი უღირსად ზიარებისათჳს დაისაჯებიან.

ნუნ უკუე ნუ ეშმაკეულთა ოდენ ვაყენებთ, არამედ ყოველთა უღირსებით მომავალთა, რაჲთა არავინ ეზიაროს **სუდაჲსებრ, რაჲთა არა მისებრ დაისაჯოს.**

ნსოებ ჴრისტესა არს ერი ესე. ნმისთჳს ეკრძალენით, მღდელნო, ნუუკუე განარისხოთ ოფალი, რომელ არანმიდა-ჰყოფთ ასოთა მათ შისტა; რაჲთა იყვნენ ჭეშმარიტ ასო შისტა.

სკრძალენით, რაჲთა არავის მახული მისცეთ საზრდელისა ნილ, რამეთუ ესრეთ არს უღირსთა ზიარებაჲ. **ნალაცათუ ვინმე უღირსი უმეცრებით მოვიდოდის ზიარებად, დააყენეთ,** ნუ შეშინდებით, გეშინოდენ იმრთისაგან და ნუ კაცთაგან.

ოკუეთუ კაცთაგან გეშინოდის, თჳთ მებრ იგინი გეცინოდინ; უკუეთუ იმრთისა შიში იჰყრათ, კაცთა მიერცა პატიოსან იყვნეთ. **ჲოლო უკუეთუ**

თქუენ ვერ იკადრებთ, მე მაუნყეთ. **ნრა შეუნდო უღირსებით ზიარებად.** სულსა ჩემსა განვეშორო პირველ, ვიდრელა ჴორცი და სისხლი ჴრისტესი უღირსადმცა ვის მივეც და სადღუმლოსა ამას შესაძრწუნებელსა უნესოდ ვაზიარე.

ჲოლო უკუეთუ ვინ უმეცარ იყოს ვისამე, დალაცათუ უღირსად ეზიაროს, არა არს ბრალი მღდელისაჲ მის, რამეთუ მე ცხადთათჳს ვიტყვ და მეცნიერთა. ოკუეთუ ესენი განჰვმართნეთ რომელნი ვიცნით, უცნაურნიცა ადრე გკრეუნნეს იმერთმან.

ჲოლო ამას ყოველსა არა თუ ამათთჳს ვიტყვ, რაჲთა დავაყენნეთ ოდენ და გარემივაქცინეთ, არამედ რაჲთა განჰვმართნეთ უნესოდ მავალნი და მერმე ვაზიაროთ; რაჲთა იგინიცა ღირსებით ეზიარებოდინ განათლებად სულთა მათთა, და ჩუენ მოვილოთ სასყიდელი თჳსისაცა შრომისაჲ და სხუათაცა მოლუანებისაჲ, შადლითა და კაცთმოყუარებითა ოფლისა ჩუენისა სესუ ჴრისტესითა, ჴომლისა თანა შამასა შუენის დიდებაჲ სულით ჲმიდითურთ, პატივი და თაყუანისცემაჲ, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.